



მცხეთის მუნიციპალიტეტის მერის



KA000013422908420

№ ს-608

19 / მარტი / 2020 წ.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

„მცხეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე კორონავირუსის (COVID-19) შესაძლო გავრცელების პრევენციის მიზნით, მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიაში საგანგებო რეჟიმის ამოქმედების შესახებ“ მცხეთის მუნიციპალიტეტის მერის 2020 წლის 13 მარტის #ს-561 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს მთავრობის 2020 წლის 17 მარტის #543 განკარგულების, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. შეტანილ იქნეს ცვლილება „მცხეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე კორონავირუსის (COVID-19) შესაძლო გავრცელების პრევენციის მიზნით, მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიაში საგანგებო რეჟიმის ამოქმედების შესახებ“ მცხეთის მუნიციპალიტეტის მერის 2020 წლის 13 მარტის #ს-561 ბრძანებაში. კერძოდ, ბრძანების პირველი პუნქტის „ა.ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით:

„ა.ა) რომელიც საქართველოს მთავრობის 2020 წლის 12 მარტის #529 განკარგულების ძალაში შესვლამდე ბოლო 7 კალენდარული დღის განმავლობაში იმყოფებოდა „საქართველოში ახალი კორონავირუსის შესაძლო გავრცელების აღკვეთის ღონისძიებებისა და ახალი კორონავირუსით გამონვეული დაავადებების შემთხვევებზე ოპერატიული რეაგირების გეგმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 28 იანვრის #164 განკარგულებით განსაზღვრულ ეპიდემიური რისკის მქონე ქვეყნებში ან მოემგზავრება ასეთი ქვეყნების გავლით - საქართველოში დაბრუნებიდან 2 კვირის განმავლობაში“.

2. ბრძანება ძალაშია გაცნობისთანავე.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მცხეთის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. მცხეთა, სამხედროს ქ. #17) გაცნობიდან 1 (ერთი) თვის ვადაში.

მცხეთის მუნიციპალიტეტის მერი

ხელმოწერილია/
შტამგადასმულია
ელექტრონულად

გიორგი კაპანაძე